KA030178386210218

№ 01-3264 **14 / თებერვალი / 2018 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს ბატონ
დავით სერგეენკოს

ადამიანური რესურსების მართვისა
და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსის, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 1-2 მარტს ყირგიზეთში ქ. ბიშკეკში ტარდება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ტუბერკულოზის მკურნალობის საკითხებისადმი მიძღვნილი მე-7 სიმპოზიუმი. აღნიშნულ ღონისძიებაზე დაგეგმილია ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება დაავადების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში არსებული მიღწევებისა და დაფინანსების მექანიზმების თაობაზე.

შეხვედრაში მონაწილეობის მიზნით წარდგენილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამების სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ია ყამარაული, რომელიც მუშაობს „ტუბერკულოზის მართვის" სახელმწიფო პროგრამის შემუშავების და მიმდინარეობის კოორდინაციის საკითხებზე.

ვიზიტში მონაწილეობის ხარჯებს სრულად ანაზღაურებს (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური ნორმა) მიმწვევი მხარე.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი ია ყამარაულისათვის მიმდინარე წლის 28 თებერვლიდან 3 მარტის ჩათვლით.

დანართი:

1.ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსის წერილი;

2.მოწვევის წერილი;

3.წარდგინების წერილი;

4.ელექტრონული ბილეთის ჯავშანი.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია